ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 111

« 15 » აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (№01.14.15.001.314 და №01.14.15.001.316) საკადასტრო ერთეულების გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლისნ 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 30 მარტის №12.18.282 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებას: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 1193 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.14.15.001.314) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 5515 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.14.15.001.316) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტის" (ს/ნ №204513687) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2302 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.14.14.005.172) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ და შეთანხმდეს აღნიშნულ კომპანიასთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასური შეადგენს 365500 (სამას სამოცდახუთიათას ხუთას) ლარს.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე | | გიორგი ალიბეგაშვილი